რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
редакція „Цнобисъ Пурцели".

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა

**წლიური ფასი ექვსი მანათი.**

---

### ქართული თეატრი

1896 წ. ოთხშაბათს, 11 დეკემბერს.

ათის წლის სცენაზედ მოღვაწეობის ბენეფისი ელ. **ჩერქეზიშვილისა** ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან ქ. საფაროვ-აბაშიძისა და აბაშიძის მონაწილეობით.

წარმოდგენილ იქნება

I

## დამცემული ოჯახი

კომ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა

II

## დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: გრ. აბაშიძე, კ. მესხი, კ. ყიფიანი პ. არაქსიანი, ადამიძე. დასასრულ ლეკური.

ანტრაქტებში დაუკრავს აბდულ-ბალი და სამხედრო მუსიკა. მომქმედნი პირნი: ქ. ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთლისა, ივანიძისა. ბ. ბ. აბაშიძე, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი,

---

მიიღება ხელის-მოწერა **1897** წლის

დიდ ალბომზე

## „საქართველო სურათებში"

ალბომში (8×6 ვერშოკი) მოთავსებულ იქნება ორასი სურათი საქართველოს შესანიშნავ დაბა-ქალაქებისა, ციხეებისა, ეკკლესიებისა, მონასტრებისა და სხვ. ყოველ სურათს ექნება შესაფერი ახსნა ქართულსა და რუსულს ენაზედ.

ფასი ალბომისა საუცხოვო ყდით და გაგზავნით **5** მანათი.

გამოსვლის შემდეგ ალბომი ეღირება **8** მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში: თვითონ გამომცემელ ივანე როსტომაშვილთან (გრაფის ქ, № 5); „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მაღაზიაში (არწრუნისეულ ქარვასლაში) და ექვთიმე ხელაძის სტამბაში (ლორის-მელიქოვის ქუჩაზე).

---

## სასწავლებელი და პანსიონი

ა. ტერ-აკოფოვისა.

იყვანს მოწაფეებს სახლიდგან მოსიარულეებს და პანსიონერებსაც. ამზადებს მეხუთე კლასამდე შესასვლელად გიმნაზიებს, რეალურ სასწავლებელსა, კადეტთა კორპუსსა და სხვა სასწავლებლებში მისაღებად. ქართველებს ქართულსაც ასწავლიან. მოწაფენი მიიღებიან 6 წლისა და მეტისა. ადრესი: ტფილისი, განოვის ქუჩა, № 11.

(13—10)

---

ევროპიულ ტანისამოსის მკერავი

## ონისიმე დავითის ძე სალაყაია

ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა, მაღაზია № 24.

ვღებულობ ვაჟკაცების ყოველგვარ ტანისამოსთა კერვას, შედარებით ვებთანხ იაფად. საქმეს ვასრულებ წმინდად და დროზედ.

**Портной О. Д. Салакая**

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинск. Дворянства, № 24.

---

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**უ. მ. ხიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**მქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. შუგინოვი**. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. შუგინოვი**. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული. შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

---

## სამკურნალო და ამბულატორია ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია**.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. ბერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი**.

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. გ. თოფურია**.

(წ.)

---

Вышла изъ печати и продается новая книга:

## ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаурия".—Быль—Какъ „въ старину живали дѣды".— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.—Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.—Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.—Спасенная святыня.

**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа", въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ", а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы".

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога".

**ЦѢНА 30 КОП.**

---

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან".)

6 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 6 დეკემბერს მიხეილის მოედანზე ხელმწიფე იმპერატორის, დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის და დიდთა მთავართა თანადასწრებით მოხდა საეკკლესიო პარადი სხვა-და-სხვა ნაწილის ჯარებისა. ამის შემდეგ გაიმართა ნადიმი ზამთრის სასახლეში. ხელმწიფე იმპერატორმა სადღეგრძელო მიირთვა ჯარებისა· დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ დალია სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და მიართვა მათს უდი-

დებულესობას ოქროს მედალი, რომელიც განსაკუთრებით მომზადებულ იყო არტილერიის ასის წლის არსებობისა გამო.

**სოფია.** ამბობენ, რომ საზღვარგარეთ გაქცეულ ოფიცრების შესახებ კითხვა იქნება ჩამოგდებული საერო კრებაზე ამავე სესიის დროს.

**სოფია.** საერო კრებამ დაადგინა, მივულოცოთ ხელმწიფე იმპერატორს მათი სახელწოდების დღეო.

**ბომბეი.** გოას პროვინციაში ხელ-ახლად არეულობა მოხდა. ადგილობრივი მკვიდრნი დაეცნენ პკრნემს, დალეწეს და ცეცხლი წაუკიდეს ხაზინას. აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარი, 600 კაცი; აჯანყებულნი უკუ აქციეს და სულ გაფანტეს.

### გუშინდელი დეპეშა

6 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: კავკასიის მთავარ-მართებელს ღენერალს კავალერიისას შერემეტევს ებრძანა სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნა.

5³/₄ საათზე, დღისით, გზათა სამინისტროს შენობაში კასპიის რკინის გზაზე მოსამსახურე ავეტ ზახაროვმა დამბაჩა ესროლა სახელმწიფო გზათა მმართველს ვასილევსკის, რომელიც მძიმედ დასჭრა ზურგში. ვასილევსკი წაიყვანეს ობუხოვის საავადმყოფოში. ავეტ ზახაროვმა მაშინვე დამბაჩითვე თავი მოიკლა.

**პეტერბურგი.** 5 დეკემბერს საღამოზე ჩამობრძანდნენ პეტერბურგს ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარიამ თეოდორეს ასული შვილებითურთ.

5 დეკემბერს ჩამობრძანდა საღვარგარეთიდან დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

**ვენა.** გაზეთი „პოლიტიკური კორესპოდენცია“ იუწყება, რომ ოსმალეთის მთავრობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ რუსეთის ელჩი ნელიდოვის ჩამოსვლამდე მოამზადოს ისეთი ხარჯთ აღრიცხვა, რომ შემოსავალი დარჩეს ვალის გასასტუმრებლადო. ამის გამო მინისტრთა კრება ამ ჟამად მხოლოდ ხარჯთ აღრიცხვის შედგენაში არის გართული. სხვათა შორის განზრახვა აქვთ შეამცირონ ხარჯი ყველა სამინისტროებისა 15⁰/₀-ზე. დიდი ჯამაგირები შეამოკლონ 7⁰/₀-ზე, ხოლო სამხედრო დაწესებულებაზე ხარჯი შეამცირონ ერთ მილიონზე; ამიტომ უკვე დათხოვნილია ჯარი რედიფის რაზმებისა.

**ბუქარესტი.** 5 დეკემბერს სინოდმა უარ ჰყო ბრალდებულობის ოქმი მიტროპოლიტად ყოფილის გენადის წინააღმდეგ, რომელმაც მიტროპოლიტობაზე უარი განაცხადა. ხვალ მოხდება კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს ახალი მიტროპოლიტი და მემკვიდრე ამოურჩიოს განსვენებულ ეპისკოპოსს რომანს.

**ლონდონი** „Times“-ს სწერენ სინგაპურიდან, რომ ფილიპეს ყველა კუნძულებიდან ჯარი გადაყვანილია მანილიაში. აჯანყებულთა რიცხვი, რომელნიც კავიტას ამაგრებენ, შეადგენს 50,000 კაცზე მეტს. ქვეყანა აჯანყებულია.

**ლონდონი.** 5 დეკემბერს, დილის 5¹/₂ საათზედ, ინგლისში რამდენსამე წუთს მიწის ძვრა იყო.

**ბომბეი.** დღემდე ჭირით ავად გამხდარა 1511 სული; მათ შორის 1094 მომკვდარა. მცხოვრებნი ადმინისტრაციის ზომებს ეწინააღმდეგებიან. ადგილობრივნი მცხოვრებნი ყოველ დღე გარბიან; 200,000 კაცმა ქალაქი დასტოვა.

**ბუენოს-აირესი.** პურის მოსავალი სანტაფეში ძლიერ მცირეა.

# ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი გუშინდელ დღიდგან გადმოვიდა ისევ წინანდელ შენობაში, ფრეილინის ქუჩაზე. შენობა ბანკისა საუცხოვოდ გადაუკეთებიათ, ხუთი ოთახი მოუმატებიათ, კასისათვის სრულებით განცალკევებული ოთახია, ყველა დირექტორებს თვითო ოთახი აქვს მიჩნეული საქმობისათვის. ზედამხედველ კომიტეტს და დამფასებელ კომისიას ორ-ორი ოთახი აქვს საქმობისათვის. კანცელარია დიდი და მოხერხებულია; ერთის სიტყვით ეხლა ბევრი ადგილია მოხელეთათვის და საზოგადოებისათვისაც. ძლივს დაემსგავსა ჩვენი ბანკი გარეგნობით სხვა ბანკებს.

*** ფოტოგრაფიის გაუმჯობესება. ფოტოგრაფ ბ-ნ როინაშვილთან ჩვენ ვნახეთ მშვენივრად გადაღებული სურათი, რომელსაც ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს. ეს სურათი წარმოადგენს ერთსა და იმავე პირს სხვა-და-სხვა მდგომარეობაში გადაღებულს. ამ სურათში თვით ბ. როინაშვილია გადაღებული ისე, რომ ერთი როინაშვილი ცემას უპირებს მეორეს; მუშტი მოუღერებია მეო-

### ვაჭრების საყურადღებოდ.

ორიოდე სიტყვა ქართულ წიგნების გამოცემის გამო.

ვინც გონების თვალით ჩაჰკვირვებია ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, ვისაც ცოტათ თუ ბევრად თვალ-ყური უდევნებია ჩვენი ხალხის მაჯის ცემისათვის, იმას უეჭველად შეუნიშნავს, რომ ქართველ საზოგადოებაში დიდი ხანია გაიზარდა და დამწიფდა გონებრივი საზრდოს მოთხოვნილება. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველ ინტელიგენციას არ დარჩა შეუნიშნავი ეს სასიამოვნო მოვლენა... ამიტომაც დაარსდა „ქართულ წიგნების გამომცემელი ამხანაგობები“, როგორც ტფილისში, ისე ქუთაისში. გამრავლდა კერძო გამომცემელთა რიცხვი; გავრცელდა ხალხში ქართველ მწერალთა გონებრივი ნაწარმოები და თუ რამდენისამე წლის წინად თვით ილიასა და აკაკის თხზულებებს თვით ავტორების მეტი ძნელად თუ ვინმე იცნობდა, დღეს თვით ქართველ ახალგაზდა მწერალთა სუსტი კალმის ნაწარმოებიც მთელ საქართველოს მოეფინა. ამ ბოლოს დროს იქამდე მივიდა ჩვენი ინტელიგენციის კეთილშობილური გატაცება, რომ არა თუ საქართველოს დედა-ქალაქებში, თვით განჯაშიაც-კი, სადაც მხოლოდ ერთ ბლუჯა ქართველ ინტელიგენციას მოუყრია თავი, მოუწადინებიათ «ქართველ საზოგადოებას მიაწოდონ ადვილად გასაგები ნათარგმნი სამეცნიერო წიგნები» *).

ფრიად სასიამოვნოა ეს გარემოება! მაგრამ, საუბედუროდ, როგორც ყოველ კეთილ საქმეს, ქართველი ინტელიგენციის კეთილშობილურ გატაცებასაც თავისი ცუდი მხარეები აქვს. ამიტომაც, ჩვენის აზრით, ცუდი არ იქმნება, რომ სანამ ახალი გამომცემელი ამხანაგობა შესდგებოდეს, ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ უკვე არსებულ ამხანაგობათა ნაკლი უწყებულ ასპარეზზე.

საკვირველ მოვლენას ვხედავთ დღეს ჩვენში: ერთის მხრით უკვე არსებულ ამხანაგობებში გაისმის საყვედური და იერემიას გოდება: „ქართველი საზოგადოება გულ-ცივად ეკიდება საქმეს; წიგნები არ იყიდება; ვილუპებითო“—და სხვა... და იმავე დროს ქართველ ინტელიგენციის მეორე ნაწილი რამდენსამე გამომცემელ ამხანაგობას აარსებს **) რას მოასწავებს ეს?.. ამ ორში ან ერთი უნდა იყოს შემცდარი, ან მეორე... ჩვენის აზრით კი ორივე მხარე მართალია. უკვე არსებული ამხანაგობები მართალია იმაში, რომ წიგნები ძლიერ ცოტა იყიდება, რომ ქართველი საზოგადოება გულ-ცივად ეკიდება მას; ხოლო მომავალი ამხანაგობები, თუ კერძო გამომცემლები მართალნი არიან, როცა იმათ შეუცვლელ ჭეშმარიტებად დაუსახავთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ჯერ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება გონებრივ სიბნელიდან გამოსვლისა.

რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან? რა თქმა უნდა ის, რომ უკვე არსებულ ამხანაგობებს და კერძო გამომცემლებს ვერ შეუგნიათ მკითხველ საზოგადოების ნამდვილი მოთხოვნილება. ამ პატივცემულ მოღვაწეებს მის მაგიერად, რომ დროსა და საზოგადოების მოთხოვნილებას დაუგდონ ყური, თვით თავიანთ ფანტაზიის ნაყოფი დაუსახავთ მკითხველ საზოგადოების იდეალად; თავისი გემოვნება და პირადი შეხედულება გამოუსახავთ საზოგადოების მისწრაფების ვარსკვლავად. ამ პატივცემულ ბატონებს თუ რომელიმე რომანი ან მოთხრობა მოეწონათ, თავის ზნეობრივ მოვალეობათ სთვლიან, გადმოაქართულონ და მკითხველ საზოგადოებას მიაწოდონ... «ჯერ საზოგადოებაში ესტეტიკური გრძობები უნდა განვავითაროთო»... თავ-მოწონებით მიპასუხებენ ეს პატივცემული პირები და თან ტუჩებს ზევით აიწევენ, თითქო იმისი თქმა უნდათ: ნუ თუ ისე სულელიცა ხარ, რომ ეს საანბანო ჭეშმარიტება ვერ შეგიგნიაო?“...

მაგრამ ზემო ნაჩვენებმა გარემოებამ დღეს ცხადად აღმოაჩინა, რომ ეს თბილ-კაბინეტებში გამომცხვარი „ესტეტიკა“ ისე საჭირო არ ყოფილა როგორც სხვა რამ... ეს ცხადად დაგვანახვა თვით არსებულ ამხანაგობების ხანგრძლივმა გამოცდილებამ... და მკითხველმა საზოგადოებამაც გამოუცხადა მათ თავისი უკმეხი „პროტესტი“: მაღაზიები ქართულ წიგნებით სავსეა და მყიდველი კი აღარ არის. სამწუხარო ასეთი მოვლენა. მაგრამ ეს მხოლოდ მით უნდა აიხსნას, რომ არსებულმა ამხანაგობებმა ვერ შეიგნეს რიგიანად მკითხველ საზოგადოების მოთხოვნილება და პურის ნაცვლად ქვა მიაწოდეს მას *). აბა რითი უნდა აიხსნას ჩვენი ინტელიგენციის მოქმედება: მას ჯერ ერთი სამეცნიერო წიგნაკიც არ მიუძღვნია საზოგადოებისათვის და „ცეცხლითა და მახვილითა“ და ათასი მისთანა სქელი წიგნების გამოცემას-კი უკანასკნელ გროშებს ახმარებს?

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „კვალის“ მე 46 №-ში ბ. ყიფიანისთველის საყურადღებო წერილი: „კეთილი განზრახვა“.

**) იხ. ბ. ი. პ. როსტომაშვილის მოწოდება „კვალის“ მე-44 №-ში.

*) ჩვენ ამ წერილში არას ვიტყვით გამომცემელ ამხანაგობების წიგნების სიძვირეზე. ამაზე ჩვენ არა ერთხელ გვქონდა ლაპარაკი. სხვათა შორის მკითხველებს მოვაგონებთ 1894 წლის „კვალში“ დაბეჭდილ წერილს, სადაც ჩვენ ვლაპარაკობდით:.... ვიმეორებთ, რომ ახალიც რომ არაფერი მოგვეპოებოდეს გამოსაცემი, მეტი არ იქნება გამომცემელი ამხანაგობა შეუუდგეს: ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, აკაკის და სხვა ჩვენი მწერლების თხზულებების გამოცემას ხალხის ხელ-საყრელ ფასად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, თუ ოდესმე მოვინდომებთ ხალხიდან ეგრედ წოდებულ „გონების დამაჩლუნგებელ“ ლიტერატურის გადევნას, ეს პატარა წიგნები ერთად-ერთი მარჯვე იარაღი იქნება ამ შემთხვევაში. (იხ. „კვალი“ 5 № 1894 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესათვის და საშინელი გაბრაზებული უყურებს. მხოლოდ მეორე კაცი, რომელსაც მუშტს უღერებს იგივე ბ. რონინაშვილია და ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი, დამცინავის სახით შეჰყურებს მეორე რონინაშვილს; მთლად ეს სცენა ერთს სურათად არის გამოყვანილი. ადამიანი როდესაც დაჰხედავს ამ სურათს, თავის თავს არ უჯერებს, რომ ეს ორივე სახე ერთი და იგივე პირია და გაშტერებული ძალა-უნებურად აცქერდება ორთავე პირს.

⁂ **ავეტ ზახაროვი.** დღევანდელ დეპეშაში სწერია, რომ ავეტ ზახაროვს მოუკლავს სახელმწიფო რკინის გზათა მმართველი ინჟინერი პ. პ. ვასილევსკიო. ავეტ ზახაროვი ყარაბაღელი სომეხია; წინედ თურმე მსახურებდა კასპის რკინის გზაზე, მაგრამ ავადმყოფობის გამო სამსახურიდან დაუთხოვნიათ, ხოლო მერე ისევ მიუღიათ პეტერბურგში სახელმწიფო გზათა მმართველობაში ბუღალტერის თანაშემწეთ, გარნა ჯამაგირი წინანდელზე ნაკლები დაუნიშნეს. რამდენჯერ უთხოვნია ავეტ ზახაროვს, ჯამაგირი მომიმატეთო და უყურადღებობით გაბრაზებული 6 დეკემბერს წასულა ზემოდ ხსენებულ ვასილოვსკისთან და დამბაჩის ტყვია ზურგში მოუხვედრებია. ვასილევსკი წაქცეულა და დაცემის დროს შუბლი ქვის იატაკზე დაუკრავს და თავიც გაუტეხია. იმავე დროს ავეტ ზახაროვს თავის თავიც მოუკლავს დამბაჩით და ტყვია საფეთქელში მოუხვედრია. რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაცვლილა.

⁂ **ივ. როსტომაშვილის ახალი წიგნება.** ჩვენ მივიღეთ ბ. ივ. როსტომაშვილის მიერ გამოცემული ახალი წიგნები: № 17 „სწავლა-განათლება და მისი ისტორია“, შედგენილი მ. ბარნაბიშვილის მიერ; № 18 „ტყის გონიერი მოვლა-მოშენება და მოხმარება“, შედ. გ. სალახიძის მიერ. ფასი ორივე წიგნისა სამ-სამი შაურია.

მომავალ 1897 წლისათვის იგივე პატივცემული მოღვაწე უქადის ქართველ საზოგადოებას მიაწოდოს „მეორე დიდი ალბომი აღწერით: საქართველოს შესანიშნავ(ნ)ი დაბა-ქალაქნი, ციხენი, ეკკლესიანი, მონასტერნი და სხვა ისტორიულ(ნ)ი ნაშთნი“. ფასი ხელის მომწერთათვის იქნება 4 მანათი. ამ წლის ალბომი მიუვათ ხელის მომწერთ 1 იანვრამდე.

⁂ **რეალური სასწავლებელი ხონში.** რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ ხონელებმა აღუთქვეს მთავრობას ადგილი და შენობა რეალურ სასწავლებლისათვის, ოღონდ ხონში გახსენით სასწავლებელიო და შემწეობასაც აღმოვუჩენთ ძალ-ღონისა დაგვარადო.

**ნობელის მემკვიდრეობა.** ამას წინად სან-რემოში გარდაცვლილ ნობელს, რომელმაც დინამიტი გამოიგონა და ბაქოში ნავთის მონაწილე იყო, დარჩენია სიმდიდრე, რომელიც 180 მილიონ ფრანკს აღემატება, ანუ ჩვენებურ ფულზე შეადგენს 65,000,000 მანათს.

⁂ **ქობულეთის სკოლა** მალე მზათ იქნებაო, სწერენ «ჩერნ. უწყებას»; დარჩა-ღა დასაგები ასფალტის იატაკი. სკოლის ზედამხედველის და მასწავლებელთათვის ოთახები მზათ არის.

⁂ **უცნაური განცხადება.** გაზეთ «კავკაზის» მე-325 №-ში ამოვიკითხეთ ასეთი განცხადება:

სათნოიანი და კეთილ-სინიდისიერი ოჯახობა შვეიცარიაში ეძებს ახალგაზდა ქალს საქართველოდამ, ანუ მის ახლო მდებარე ქვეყნიდამ, რომელმაც ცოტა ფრანგული ან ნემეცური უნდა იცოდეს, მსუბუქ და სამუდამო საქმისთვის, უფრო დიასახლისობისთვის. მსურველმა თავისი ფოტოგრაფიული სურათი და პირობები შეგვატყობინოს ამ ადრესით:

O—36—F an. Orell Füss li—Anoncen, Zürich (შვეიცარია).

მოდი და მიხვდით, თუ ამ უცნობ პირს, უცნაურ ასოებს ქვეშ ამოფარებულს, რისთვის დასჭირებია უთუოდ ქართველი ქალი, მისი სურათი უეჭველად და რას ეძახის მსუბუქ და სამუდამო საქმეს.

⁂ **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და ახლად გამოიცა მეტათ საინტერესო ცნობებით სავსე წიგნი „პატრი ნიკოლა, როგორც მეფეების ექიმი და მის დროის კათოლიკენი საქართველოში.“ წიგნი შეიცავს 80 გვერდს და ღირს 20 კაპ. წიგნში მოთხრობილია პატრი ნიკოლას შრომა მეფე გიორგის კარზე, ანტონ კათალიკოზის კავშირი პატრ ივანესთან, ბონუვენტოსთან, პადუელთან და სხვებთან. იმ დროის მწიგნობარ ექიმ პატრების მოხსენებანი:. პატრი ანდრია, პატრი ფილიპე, დამიანე ანკოლელი, ანტონი, მარიოსი, ჯერმინე, ალოიზი და მავრო, რომელიც 1783 წ. ევროპაში იქმნა მეფე ერეკლესაგან გაგზავნილი.

წიგნი შედგენილია ზ. ჭ. მიერ. აღწერაში საკმარისი ადგილი აქვს დათმობილი ჯავახეთის კათოლიკობის ამბავს დ ბევრი საინტერესო მასალებიც არის მოთავსებული კათოლიკების შეახებ.

⁂ **სიმართლის აღდგენა.** ქიზიყის ბოქაული თავ. ნ. დ. ერისთავი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი:

გაზეთ «ცნობის ფურცლის» მე-41 №-ში არის დაბეჭდილი, რომ ქიზიყში საქონლის ქურდობა გავრცელდაო, ქურდები იქამდის გათამამდნენ, რომ თვით ბოქაულის აივნიდამ თეთრეული ტანისამოსი დაიპარესო“. გთხოვთ სიმართლის აღსადგენად შემდეგი დაიბეჭდოთ: ორი დღის შემდეგ ჩემის მოსვლისა ს. მაჩხაანში დედაკაცს აივანზედ გაეფინა თეთრეული, რომელიც ღამეც იქ დაეგდო და მეორე დილით 4 თუ 5 ცალი აკლდა, და ისიც მოსამსახურეებს დაბრალდა. რაც შეეხება ქურდობის გავრცელებას ამ ხუთ თვეში, რაც მე ბოქაულად გამამწესეს ქიზიყში, არავითარი ქურდობა სახლებიდან ანუ რაიმე ავეჯისა არა ყოფილა-რა. საქონელი კი ამ ხუთ თვეში დაკარგულა არა უმეტეს 15 სულისა (ჩემს საბოქაულოში 40,000 მცხოვრებელია), რომლიდგანაც ნახევარზედ მეტი აღმოჩენილია. (ნუ თუ ეს არის ქურდობის გავრცელება?) ყოველივე ამის საბუთს, თუ ნებავს ბ. კორესპოდენტს, მივართმევთ. რა საბუთია აქვს კორესპოდენტს, ასე რიხიანათ რომ ამტკიცებს ქურდობის გავრცელებას. მე არ ვიცი, რას მივაწერო: მის ფანტაზიას, თუ სხვა რასმე ჩემთვის გაუგებარ დაფარულ აზრს.

რაც შეეხება იმედს ბ. კორესპონდენტისას ქურდობის მოსპობაზედ, ვეცდები არ გაუმტყუვნო; მხოლოდ მეც ვიმედოვნებ, რომ ბატონი კორესპონდენტი ფრთას შეაკვეცავს თავის ფანტაზიას და შემდეგში უფრო სწორს და შინაარსიან ცნობებს გაცნობებთ.

⁂ **დედოფალს სერბეთისას ნატალიას** საერო კრებამ, თურმე, დაუნიშნა სახელმწიფო ჯამაგირი, ისრე, როგორც მეფე მილანს ეძლევა. ჯამაგირი დაუნიშნავთ 240,000 ფრანკი წელიწადში (85 ათას მანათამდეა), მაგრამ დედოფალ ნატალიას ამ ჯამაგირზე უარი განუცხადებია, იმ მოსაზრებით, რომ სერბეთის ფინანსები ამ ჟამად მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არის და ამას გარდა თვით სერბეთის მკვიდრნი ძრიელ დაზარალებულნი არიან წყალდიდობის გამოვო.

⁂ **სოფ. სარაფანა და სასოფლე.** (ჩრდილოეთ კავკასიაში) ასე ეძახიან ქართველი ყაზახები თავიანთ ორ სოფელს მდ. თერგზედ; ამ სოფლებს სამმართველოებში და ყოველგვარ დაწესებულებაში, აგრეთვე გეოგრაფიულ რუქაზედ სხვა სახელებს უწოდებენ: პირველს სტანიცა შელკოზოვოდსკაია და მეორეს სტანიცა ალექსანდრო-ნევსკაია. პირველ სოფელში ორმოცდა-ათ კომლამდე ქართველი ყაზახის ოჯახი მოსახლეობს და მეორეში, დაახლოვებით, ამდენივე. აქაური ქართველები, ქალებს გარდა, მშვენივრად ლაპარაკობენ რუსულს და აგრეთვე ქართულს. აქაური ქართველი ყაზახები მსახურებენ იმ ყაზახთა პოლკში, რომელიც სახელ გათქმულია ბრძოლაში და ეწოდება „ყიზლარ-გრებენსკოი პოლკი“. ყაზახთა ქართველ ქალებს სრულიად შეუცვლელათ შეუნახავთ ქართული ოჯახური ცხოვრების ჩვეულებანი, ჩაცმა-დახურვა და ტკბილი ქართული ენა და თავიანთ მეზობელ რუს ყაზახთა ქალთათვის არაფერში წაუბაძავთ; ასე გაშინჯეთ, არც შრომაში. რომ უკეთესათ წარმოიდგინო, რუს ყაზახ ქალთა შრომა, აი რა უნდა მოგახსენოთ. ყაზახთა წოდების წესი არს: ორმოცდა ხუთ, თუ ცოტა ნაკლებ წლამდე, სულ სამსახურშია, და მთლათ მეურნეობას და მეოჯახობას ქალი უძღვება, როგორც კაი ვაჟკაცი. ზოგიერთი საქმე ხომ, როგორც ვენახის გაშენება, მოვლა, გასხვლა, დაბარვა და შეყელვა, აგრეთვე ღვინის (ჩიხირის) დაყენება, სულ ქალის საქმეა და მამაკაცს არაფერი გაეგება ამ საქმეში, ის მხოლოდ მინდორს უნდება. ეს ვაჟკაცურათ მშრომელი ქალი ისევე კეკლუცია, ისევე ტანადი და ზოგიერთა სტანიცების, მაგალითად ჩერვლიონიის და შჩედრინის ქალები კვირაობით ჩერქეზულ ახალუხებში რომ ჰნახოს ადამიანმა, იტყვის: ამას გუშინ ვენახი კი არ უთოხნია, იქნება მზეც არ დაუნახავს თავისს დღეშიო. კვირაობით ჩერქეზულ ტანისამით მორთულ-მოკაზმული ქალი ყმაწვილ კაცებთან ერთობა სიმღერაში და ლეკურში, და მეორე დღეს ისევ შრომას და გარჯას ეძლევა. როგორც ყველა ყაზახთ, აგრეთვე ქართველებსაც სულზე, რამდენიც უნდა იყვეს ოჯახში მამა-კაცი, 60 დღიური მიწა ეძლევა სახნავ-სათესად. აი იმის მიუხედავათ, რომ მამული ბევრი აქვს ქართველ ყაზახს, ყველა სოფლებზედ ღარიბათ სცხოვრებს ეს სოფელი. ღარიბათ სცხოვრებს იმისთვის, რომ მამაკაცს იმდენი მოცალეობა არა აქვს და ქალს-კი ხელი არ გაუნძრევია. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლოს დროში-კი ცოტას უფრო ეჩვევა შრომას ქართველი ქალი. როდის არიან გადმოსახლებულნი აქაური ქართველობა, ეს თავათაც არ იციან. ამბობენ კი ბებრები, რომ პეტრე დიდის მეფის დროს, როცა იგი ქ. დარუბანდში ბრძანდებოდა და გვნახაო; ჩვენა და ზოგიერთა სომხები ერთად გადმოველით ღვინის და აბრეშუმის მოშენების გასავრცელებლად და ჩვენ სოფელს იმიტომ დაერქვა „Шелкозаводская“; სარაფანა კიდევ სახელია ჩვენი წინამძღვარი კაცისაო. აქაური ქართველები საქართველოს ერთი კუთხიდან არ არიან გადმოსულები; აქ არის გორის, დუშეთის და შორაპნის მაზრელი, მოხევე და სხვებიცა. სკოლები თუმცა აქვთ, მაგრამ ქართულის სწავლება არ არის, თუმცა სასოფლეში კი აპირობენ, სადაც ქართველი მასწავლებელი გამწესებულა წრეულს და წიგნებიც დაუბარებია. თუმცა მღვდელი ქართველია, მამა ლუკიანიშვილი, მაგრამ რადგან

ქართული წირვა-ლოცვა, როგორც ღვდელმა სთქვა, დღემდე არა ჰქონიათ, მეც არ ვასრულებ ქართულათაო, ხოლო აღდგომას უკითხავ ქართულათ სახარებასაო.

როგორც მოზდოკელებს, ისე აქაურებსაც ვენახები 'აგერ ექვსი წელიწადია უხდებათ. ამ ბოლო წლებში ბორდოს წყლით (შაბიამანი) დაუწყეს წამლობა და ბევრმა გამოაბრუნა ვენახი. წრევანდელმა თერგის დიდ წყლობამ ბევრი ზარალი მისცა და ნივთიერად დააქვეითა მათი მდგომარეობა.

⁂ მოსკოვი: 15 ნოემბერს საპოლიტეხნიკო მუზეუმში მოხდა საგანგებო სხდომა ბუნებისმეტყველების საზოგადოებისა. სხდომა იყო დანიშნული იმის გამო, რომ ამ დღეს შესრულდა ნახევარი წელიწადი, რაც გარდაიცვალა პროფ. სტოლეტოვი, საპატიო წევრი ამ საზოგადოებისა და გამოჩენილი მეცნიერი.

ვინც-კი ყოფილა მოსკოვის უნივერსიტეტში, ყველას კარგათ ახსოვს ეს გამოჩენილი ფიზიკოსი; სტოლეტოვი წარმოადგენდა ერთს იმ უკვდავ პირთაგანს, რომელნიც თავისის ყოფნით ადიდებენ ხოლმე თავის ერს; იგი მთელს ევროპაში განთქმულ იყო, როგორც გამოჩენილი მეცნიერი, როგორც უმეთესი ფიზიკოსი, და, თუმცა მას ჰელმჰოლცისავით და სხვა გამოჩენილ ფიზიკოსებივით, ახალი თეორია არ შეუქმნია და არც არაფერი ახალი მოუგონია თავის მეცნიერებაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა სტოლეტოვი, როგორც ფიზიკოსი, დაუვიწყარი დარჩება ამ მეცნიერების ისტორიაში: „ის იყო, როგორც მასზე თქვა გერმანელმა ფიზიკოსმა, კუნდ-მა, საუკეთესო მცოდნე ფიზიკისა და მშვენიერად იცოდა ამ ცოდნის მოხმარება მეცნიერებაში“. განსვენებულს პროფესორს ერთი ახირებული ხასიათი ჰქონდა: გამოცდის დროს ვინც უნდა წარმოსდგომოდა წინ: სტუდენტი, თუ კურს შემთავრებული; ქალი, თუ ბუნების მეტყველი, ყველას ერთგვარად მოსთხოვდა ხოლმე კარგს, შეგნებულს და შეთვისებულ ცოდნას ფიზიკისას; სტოლეტოვის მიერ გამოცდის შესახებ ბევრი ანეგდოტია შეთხზული მოსკოვში და საზოგადოდ, სტუდენტებს შუა. ამ ხასიათმა მას უკანასკნელს დღეებში ბევრი არა სასიამოვნო რამ მიაყენა. სტოლეტოვს ბოლო ხანებში უპირებდნენ აკადემიაში წევრათ არჩევას, მაგრამ მას ბევრი მტერი აღმოუჩნდა და ამათ დაუშალეს სტოლეტოვს ამ ყოვლის მეცნიერისათვის სანეტარო ჯილდოს მიღება. ეგ რა?! სტოლეტოვის ჯიბრზე აირჩიეს კიდეც აკადემიკათ ახალგაზდა კაცი, მაგისტრი ფიზიკისა—სწორედ ის, ვინც სტოლეტოვმა რამოდენისამე წლის წინათ ჩასჭრა გამოცდის დროს. ამ არა სასიამოვნო ამბებს სტოლეტოვის ცხოვრებაში ბოლო ხანებში კიდევ ბევრი სხვა მისი დამამცირებელი ფაქტიც მოემატა. ყველა ამან ძალიან იმოქმედა მეცნიერზედ და უდროვოდ გაუქრო მას სინათლე და მარდვის ცემა. გარდაიცვალა სტოლეტოვი, გამოჩენილი მეცნიერი და პატიოსანი კაცი; მაგრამ უნდა გენახათ, რა გვარ დასტიროდნენ მას მისი ამხანაგები, მისი შეგირდები, რომელნიც დღეს პროფესორებათ არიან, სტუდენტობა და სხვანი! უნდა შეგესმინათ, რამდენი ოხვრა და კვნება ისმოდა ყველა იმ რეფერატებში, რომელიც წაიკითხეს ამ სამის დღის წინათ პოლიტეხნიკურ მუზეუმის დიდ დარბაზში, უნდა გეყურებინათ, როგორის პატივისცემით წარმოსდგა ფეხზედ მთელი საზოგადოება, რომელმაც თავი შეიყარა ამ უზარმაზარ დარბაზში და პატივი სცა განსვენებულს მეცნიერს!.. დიახ, სტოლეტოვის სიკვდილს გლოვობს ყველა ის, ვინც აფასებს მეცნიერის მოუსვენარ შრომას კაცობრიობის სასარგებლოთ, ყველა ის, ვისაც შეუგნია კავშირი თვის ბედნიერებისა და მეცნიერების წინსვლის შორის; ყველა ის, ვისაც ესმის, რა თავგანწირული შრომაა, მეცნიერის შრომა, რამდენი ტანჯვა და მოკლებულობა ამკობს ამგვარ შრომას! ჩვენს ახალგაზდობაშიაც ბევრი ყოფილა სტოლეტოვის მსმენელი ⁊ დაჯერებული ვართ, ჩვენშიაც ჯრა ერთი და ორი პატივისცემით მოიგონებს ამ გამოჩენილს ფიზიკოსს, ამ საუცხოო ორატორს, ამ ზნეობრივ უწმინდესს და პატიოსანს კაცს.

⁂ იტალიის მეფე-დედოფლის მობძანება პეტერბურგს. საზღვარგარეთის გაზეთები იუწყებიან, რომ დამოკიდებულება პეტერბურგისა და რომის მთავრობის შორის იქამდის შეიცვალა, ისეთი მეგობრული ელფერი დაედო, რომ მომავალს წელში ამის დამამტკიცებელ საბუთებსაც ვნახავთო. ამბობენ, რომ მაისში 1897 წელს რუსეთის ესკადრა დაივლის იტალიის უმთავრეს ნავთ სადგურებს, ხოლო შემოდგომაზედ იტალიის მეფე-დედოფალი წაბძანდებიან სტუმრად პეტერბურგს.

⁂ სერბეთის მეფის ალექსანდრეს ნიშნობა. უცხოეთის გაზეთებს თუ დავუჯერეთ, სერბეთის მეფი ალექსანდრეს მოგზაურობა ევროპაში იმითი დასრულდება, რომ ახალგაზდა მეფე დაინიშნება პრინცეს ალექსანდრა საქსონ-კობურგ გოტისა-ზედ. ეს პრინცესა არის ქალიშვილი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა მარიამ ალექსანდრეს ასულისა და ღვიძლი და რუმინეთის მემკვიდრის მეუღლისა მარიამისა. პრინცესა ალექსანდრა შარშან შესრულდა 18 წლისა. გაზეთების სიტყვით ოფიციალურად ნიშნობა მალე გამოცხადდებაო. ასევე ფიქრობენ სერბეთის უმაღლეს საზოგადოებაში.

## პოლიციის მატიანე

—

4 დეკემბერს მე-4 განყოფილებაში, სოლოლაკის ქუჩაზედ, სახლში № 8, ტფილისელის ვაჭარის ამირაბოვის ქალიშვილი იულია, 1 წლისა, გარდაიცვალა ქუნთრუშით. ამირაბოვის სახლში დეზინფექცია მოახდინეს.

## სასამართლოს მატიანე.

### ცრუ დაბეზღება.

13 ივლისს, 1895 წ. ტფილისის მცხოვრებმა ალექსანდრე მურადოვმა სასამართლო პროკურორს ქაღალდი მისცა, რომლითაც აცხადებდა: ამავე ქალაქის მცხოვრებმა ს. გაბიევმა ლანძღვით და გინებით მოიხსენია წმინდა რჯული და ზიარებაო. პროკურორმა ამავე წამს გამოძიება მოახდინა, მაგრამ მოწმების ჩვენებით არა დამტკიცდა-რა. მაშინ თვით მურადოვი მისცეს სისხლის სამართალში, როგორც ცრუ დამბეზღებელი.

გუშინ-წინ, 5 დეკემბერს, დამნაშავის მურადოვის მცველად წარსდგა სასამართლოს წინაშე ნაფიც ვექილის თანაშემწე გ. გვაზავა და განუმარტა სასამართლოს, რომ მურადოვის დაბეზღების სიცრუე არ არის დამტკიცებულიო. ქართულად რჯულის გინება შეუძლებელია ისე, რომ ამ სიტყვას წინ არ მიუძღოდეს სიტყვა „შენი“-ო, რომელიც სრულებითა სცვლის დანაშაულის ხასიათსაო. პროკურორმა და გამომძიებელმა ქართული ენა არ იციდნენ და, რა თქმა უნდა, საქმეც ვერ გამოიკვლიეს. დამცველმა ითხოვა დამნაშავის გამართლება. სასამართლომ ბრალდებული სრულიად გაამართლა.

## ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

—

10 დეკემბერს, ბათომის სამხედრო ჰოსპიტალში ვაჭრობით გაიცემა ათფუთის ზოგიერთ ავეჯის გაკეთება და შელება. პირობების შეტყობა შეიძლება იქვე ყოველდღე 9—2 საათამდე.

# პეტერბურგის ბირჟა

### კურსები ⁊ ფონდები.

პეტერბურგი, 5 დეკემბერი 1896 წ.

| | |
|---|---|
| ვექსელ. კურსი 3 თვით: | |
| ლონდონისა 10 გირ. სტ—ში | 93,40 |
| ბერლინისა 100 მარკაში | 45,70 |
| პარიზისა 100 ფრანკში | 37,15 |
| მდგომარეობა ვექს. კურსისა | მშვიდია |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,50 |
| ტამოჟ. კუპ. (100 მ. მეტ.) | 149 |
| ბირჟის დისკონტი | 5 3/4—7% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99 |
| 4% შინაგანი სესხი 1 სერიისა | 98 1/2 |
| 4 1/2% " " 1893 წლ. | 101 |
| 4 1/2% გირავ. ფურც. სათ.-აზნ. საად.-მამულო ბანკისა | 101 |
| 4% " " " " " | 97 1/2 |
| 4 1/2% მოწმ. საკრ. საად.-მამ. ბ. | 101 |
| 5% მომგ. ბილ. პირველ შ. სესხ. 1864 წ. | 293 1/4 |
| 5% მომგებ. ბილ. მეორე შ. სესხ, 1866 წ. | 255 |
| 5% მომგ. გირ. ფურ. სახელ. სათ.-აზნ. საად.-მამ. ბანკ. | 212 1/2 |
| " ოქროს რენტა 1884 წ. | — |
| 4 1/2% გირ. ფურ. ურთ. შორის საად.-მამ. საკრ. საზოგად. | 155 |
| 5% სახელ. რკინ. გზ. რენტა | — |
| 4 1/2% კონსოლ. რკ. გზ. ოქრ. 1890 წლ. | 101 5/8 |
| " " 2 გამ. 1892 წლ. | 101 1/8 |
| 4% ობლ. კონ. რკ. გზ. ოქ. | 152 |
| 4 1/2% ობლიგ. კიევი-ვორონეჟ. რკინის გზ. | 101 |
| " ობლ. რიაზ.-ურალ. რკ. გზ. | 101 |
| " ობლ. სამხრ.-აღმოს. რკ. გზ. | 101 |
| 4% ობ. მოსკ.-კოზლ. რკ. გზ. | 97 |
| 4 1/2% სესხი ქ. პეტერბურგ. | 98 3/4 |
| 4 1/2% " " ქ. ოდესისა | 94 |
| 5% ობლ. პეტერ. საკრ. საზ. | 101 1/4 |
| 4 1/2% " " " " | 98 1/4 |
| 5% .... მოსკოვისა | 100 7/8 |
| 5 1/2% ობ. ოდეს. საკრ. საზ. | 100 3/4 |
| 5% " " | 99 5/8 |
| 5% ტფილისის | 98 |
| 5 1/2% გირავნ. ფურც. ხერს. | 100 1/8 |
| 5% საად. მამულო ბანკისა | 100 7/8 |
| 4 1/2% " " " " | 94 3/8 |
| 5% " " ბესარ.-ტავრ. საად.-მამულო ბანკ. | 100 5/8 |
| 4 1/2% " " " | 94 3/8 |
| 5% ვილენის | 100 1/4 |
| " დონისა | 100 1/2 |
| " კიევისა | 100 3/4 |
| 4 1/2% " | 95 7/8 |
| 5% მოსკოვისა | 100 3/4 |
| " ნიჟ-სამარისა | 100 3/4 |
| " პოლტავისა | 100 3/4 |
| 4 1/2% " " | 95 1/8 |
| 5% ტულისა | 101 1/8 |
| " ხარკოვისა | 101 5/8 |
| 4 1/2% " | 95 5/8 |
| 6% ტფილ. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% " " " | 98 7/8 |
| 6% ქუთაის. საად.-მამ. ბანკ. | 101 |
| 5% " " " " | 98 7/8 |
| აქციები პეტერ. კერძო კომ. ბ. | 537 |
| " პეტ. უჩოტ. და სესხ. | 739 |
| " პეტ. ერთა-შორებრივ. | 659 |
| " რუსეთის შინაგ. ვაჭ. | 487 |
| " ვოლგა-კამას კომერ. | 1325 |
| " პეტერბ.-მოსკოვის კომ. | 424 1/2 |
| " პეტ.-აზოვის კომ. | 420 |
| " რუს. სავაჭ.-სამრ. ბან. | 382 1/2 |
| " აზოვი-დონის კომ. ბან. | 630 |
| " ვარშავ. კომერ. | 502 |
| " მოსკოვ. საერთაშ. ბან. | 465 1/2 |
| " ციმბირისა | 700 |
| " ბეს.-ტავრ. საად.-მამ. ბ. | 635 |
| " ვილენისა | 620 |
| " დონისა | 700 |
| " კიევისა | 780 |
| " მოსკოვისა | 735 |
| " ნიჟეგოროდ. და სამარის | 690 |
| " პოლტავისა | 621 |
| " პეტერ.-ტულ. საად.-მ.ბ. | 405 |
| " ხარკოვის საად.-მ. ბან. | 489 |
| " პეტერბ. განათ. საზოგ. | 138 |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო საზოგად. | 9850 |
| აქციები " " " | 495 |
| " პუტილ. ქარხნის საზოგ. | 118 |
| " ბრიანის რელს. მწარმ. მეტ. ქარხ. | 510 |
| აქციები ქარხ. საზ. „სორმ.“ | 235 |
| " რუს. და ბელგ. მეტალ. | 278 |
| " მალცევის ქარხნებისა | 640 |
| " რუს. ოქრ. საზოგად. | 290 |
| " რუს. დამზ. საზ. 1827 წ. | 1540 |
| " ,, ,, ,, 1835 წ. | 335 |
| " დამზ. საზ. „სალამანდრა“ | 500 |
| " პეტერ. დამზღ. საზოგ. | 445 |
| " მოსკოვ. დამზღვ. საზოგ. | 820 |
| " დამზღ. საზ. „როსსია“ | 401 |
| " საზ. ,,რუსს. ლლოიდ“ | 1100 |
| " რუს. საზოგ. საქონლის დაზღვ. და გაგზავნ. | 134 |
| " დამზღვევი საზოგად. კ. ,,ნადეჟდა“ | 225 |
| " რუს. საზოგ. სანავოსნო და სავაჭრო | 600 |
| " საზ. „კავკაზ ⁊ მერკურ“ | 445 |
| " ნავოსნ. დნეპრზე | 96 |
| " მოსკ.-ყაზანის რკ. გზ. | 490 |
| " კიევი-ვორონეჟ. | 452 1/2 |
| " რიბინსკისა | 112 1/2 |
| " სამხრეთ-აღმ. რკინ. გზ. | 186 |

მდგომარეობა ფონდის ბაზრისა—მშვიდია.